ხსოვნა

პროფესორი რამაზ შაყულაშვილი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისა და 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის პერიოდის ცნობილ ქართველ ეკონომისტთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია, როგორც მეცნიერს და პედაგოგს.

ბატონი რამაზი მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, ნიჭიერებით, ჭეშმარიტებისათვის ერთგული სამსახურით, რაც ნამდვილი მეცნიერის თვისებაა.

პროფესორი რამაზ შაყულაშვილი დაიბადა 1948 წელს ქ. თბილისში. დაამთავრა თბილისის 54-ე საშუალო სკოლა, პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ უმაღლესში სწავლის პერიოდში, 19 წლის ასაკში კითხულობდა ლექციებს სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის, აღრიცხვისა და კათედრის გამგედ.

1980 წელს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს უმაღლესი საატესტატო კომისიის მიერ მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი,ხოლო 1985 წელს საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით მიენიჭა დოცენტის წოდება.

2005-2013 წწ. გახლდათ სრული პროფესორი და მოღვაწეობდა ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ინსტიტუტში რექტორის თანამდებობაზე,ასევე 2009-2013 წწ. მუშაობდა ევრაზიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სრულ პროფესორად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

პროფესორი რამაზ შაყულაშვილი იყო არაერთი წიგნის ავტორი ბუღალტრული აღრიცხვის თეორიაში და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში, რომლებიც განკუთვნილია უმაღლესი სასწავლების სტუდენტებისათვის და აუდიტორთა კადრების მოსამზადებლად, მას ეკუთვნის 50-ზე მეტი ნაშრომი და სტატია.

ბატონი რამაზი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პარალერულად ყოველთვის ინტენსიური და აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა.

1984 წლიდან იყო საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს საქსათბობმშენვაჭრობის რესპუბლიკური გაერთიანების საფინანსო სამმართველოს უფროსი.

1985 წელს მუშაობდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ფინანსებისა და დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსად.

1996-1998 წელს მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვის და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსად.

1998-2005 წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროში სამელიორაციო სისტემების მართვის საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსად.

ქართველმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ პროფესორ რამაზ შაყულაშვილის სახით დაკარგა მაღალი პროფესიონალი, თავისი საქმის უბადლოდ მცოდნე პიროვნება.

მეგობრების ხსოვნაში იგი დარჩება საუკეთესო მეგობრად და გულისხმიერ ადამიანად.

კარლო ღურწკაია, ვახტანგ დათაშვილი, ევგენი ბარათაშვილი, ილია ხოსიტაშვილი, ლევან გრიგალაშვილი, მირიან მურჯიკნელი, ზურაბ ვაშაკიძე, ნადია კვატაშიძე, გიორგი ჭინჭარაული, გიორგი ნანუაშვილი, აკაკი მუმლაძე, ვასილ ლობჟანიძე, ანჟელა ხორავა, ნუგზარ კორძაია, ფრიდონ ბურდული, ნანა სრესელი, ლელი ჭანტურია, რობიზონ ჩეჩელაშვილი.

სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

(მეექვსე ნომრის დამატება)

ლექციების კურსი